



სოფელ შრომის ფიზკულტურელები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელებთან

კავკასიონის მარადოვლიან მთებს შვილივით ჩაუკრავთ გულში სოფელი შრომა.

როცა კავკასიონის ქედს იქით მზე უკანასკნელ კამარას შეპკრავს და გაუჩინარდება, სოფელს ახალგაზრდების სიმღერა და მხიარული სიცილ-კისკისი ეფინება...

მხარზე თოხადებული ჭაბუკი ამაყად მოაბიჯებს მინდვრიდან ფერადთავსაფრიალი ქალიშვილის გვერდით. ისინი სწრაფად იცვლიან სამუშაო ტანსაცმელს და სოფლის ცენტრისკენ — სპორტული მოედნებისკენ მიემშრებიან. ასეა ყოველდღე. ხანშესულები ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს და მათ თვალწინ ცოცხლდება გარდასულ წელთა დღეები...

თუ დღეს ლაგოდების რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე მ. ლენინაშვილი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონსაბჭოს თავმჯდომარე, ამავე სოფლის მკვიდრი ნ. მახაშვილი გატაცებით ლაპარაკობენ სოფ. შრომის „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის ფიზკულტურულ მუშაობაზე.

ზე, ამაში უპირველეს ყოვლისა „დამნაშავეა“ ამ სოფელში მტკიცე ტრადიციად დამკვიდრებული სპორტისადმი, შეჯიბრებისადმი სიყვარული.

წარმოდგენილია ილაპარაკო კოლმეურნეობის წარმატებებზე და არ დასახელო ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომელსაც უკვე ათი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს „დაუბერებელი ჭაბუკი“, (როგორც მას სოფელში ეძახიან) ე. შუბითიძე. ეს საშუალო ტანის, ბრგე კაცი გატაცებულია შეჯიბრებითი სპორტზე. იგი კოლმე-

წერილი მეგობრებს

ურნეობის ფიზკულტურული გუნდს ხელმძღვანელობს და თუ იგი გამარჯვებული ბრუნდება სათამაშო მინდვრიდან, ამაში თავისი წვლილი ე. შუბითიძესაც მიუძღვის.

გასული წლის გათამაშებაში შრომელებმა მოიპოვეს რაიონის საპატიო თასი. შრომელებს განსაკუთრებით ის ეამაყებათ, რომ თავიანთ გუნდში აღზრდილი ახალგაზრდები შ. ლომიძე, ო. ნაგაშვი-

ლი და თვით ე. შუბითიძე წარმატებით იცავენ ლაგოდების „ჩანჩქერის“ ფიზკულტურული გუნდის პრესტიჟს საქართველოს პირველობაზე მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

შრომის კოლმეურნეობის ფიზკულტურული გუნდის წარმატებებში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ნ. მახაშვილსაც. იგი ყოველთვის პოულობს დროს, რომ როგორც ფეხბურთის სპეციალისტი და მარათონის თანასოფელელებს სპორტულ დაოსტატებაში.

კოლმეურნეთა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს პირ-

სოლო პირველთანრიგის ფიზკულტურული ს. კვიციანი უკვე რამდენიმე წელია რაიონის ფიზკულტურული ვაჟთა გუნდის უცვლელი კაპიტანი და წამყვანი მოთამაშეა.

სოფელ შრომის კოლმეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაციის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკური აღზრდის მასწავლებელს შ. ჩახნაშვილს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ბასუ-

ეთქვით ამ ორი მოძვე ხალხის მეგობრობაში.

რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მ. ლენინაშვილი, ნ. მახაშვილი, ა. ჩუთლაშვილი დიდიდანვე მოვიდნენ სოფელში, რათა წინასწარ მოეთათობრა და თავიანთ მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოეწვიათ ლესკენის კოლმეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია.

„ვიგრძობთ მეგობრობა! — წერენ კოლმეურნე-სპორტსმენები ყაბარდო-ბალყარულ მეგობრებს. — ჩვენი ორი კოლმეურნეობის დამეგობრება საუკეთესო ნიშანს ეტოვება, რომ ჩვენც, სპორტსმენებმა, გავიზაროთ თანასოფელეთა სისხრული და შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ ერთმანეთი. შეჯიბრება დაგვეხმარება საკოლმეურნეო ფიზკულტურული ახალი რეზერვების გამოვლენაში“.

ეგვიგარეშა, ეს შეჯიბრება ორივე კოლმეურნეობის დახმარებით წარმატებაში.

შრომელები მოუთმენლად მოელონ მეგობართა საპასუხო წერილს.

ბ. კიპილაშვილი

ველთანრიგისა და ო. ბარნაბიშვილი, რომელსაც არაერთხელ უსახელებია მშობლიური სოფელი როგორც რაიონულ, ისე სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ი. ბარნაბიშვილს ფიცარნაგზე მხარს უმშვენებენ მეორე თანრიგისა და ძალისხმევით, რაიონის ჩემპიონები მ. ამბარცუშვილი და პ. გევორჯიანი,

ხალ მესიმინდგობის შემდგომი აღმავლობისათვის შრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

ეს ცნობა განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის იყო სასიხარულო. მათ მეორე დღესვე მოიწვიეს კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რათა თავიანთი სიტყვა



სურათზე: სოფელ შრომის კოლმეურნეობის ფიზკულტურული აქტივი იხილავს ლესკენის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივისადმი გასაგზავნ წერილს.

ახალგაზრდების სიყვავა და სიამა

როცა ლაგოდების რაიონში სოციალისტურ ფიზკულტურულ მუშაობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, პირველად ჩვენს კოლმეურნეობას დასახელებენ ხოლმე. ეს, რასაკვირველია, სასიამოვნოა, ვინაიდან ჩვენ მოწინავეთა რიგებში ვართ. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი არ დავკარგოთ იმდენი მიღწეული წარმატებებით და კიდევ უფრო განვაძლიეროთ ჩვენი პოზიციები.

როგორც ცნობილია, პარტიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან მესამინდობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამ ორი სახელოვანი კოლმეურნეობის შეჯიბრების პასუხად ჩვენც გადავწყვიტეთ გვეთქვა ჩვენი სიტყვა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ იმავე კოლმეურნეობის ფიზკულტურული ორგანიზაცია.

ყაბარდო-ბალყარეთში მეგობ-

რებს გავუგზავნეთ წერილი, სადაც ვიკისრეთ ვაზრდილი ვალდებულვანი ნიშნისან-თანრიგისათა მომზადებისა და მასობრიობის საქმეში.

დაე. გაიმარჯვოს მან, ვინც უკეთესად მოაწყობს ფიზკულტურული მუშაობის საქმეს. ერთი კია, რომ ვინც უნდა გაიმარჯვოს, ეს შეჯიბრება ხელს შეუწყობს ორი კოლმეურნეობის ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენი კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტისა და ფიზკულტურული საბჭოს ერთხულოვანი გადაწყვეტილებათა ხელისხელ ჩაიღებულნი იბრძოლონ სოფელ შრომის სპორტული პრესტიჟის ამაღლებისათვის.

ვ. ბაიდაშვილი,

კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,

ე. შუბითიძე,

ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახებ რად

მობრკანლით, გეღით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი ტიტანური სამუშაოს შესრულება ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა იგი ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცეა.

ამიტომ, რომ ახლა, როგორც არასოდეს, დიდ ყურადღებას ვაქცევთ კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ საქმიანობას. სოფელ შრომის „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის სპორტსმენები ყოველთვის იდგნენ რაიონის მოწინავეთა ავანგარდში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყოს.

ახლა, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმმა საპასუხისმგებლო და დიდი ამოცანები დასახა ჩვენს წინაშე, მთელი სიგრძე-სიგანით ისმება კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქითხი.

ამ საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ ჩვენს სახელმწიფო სპორტსმენებს, რომლებმაც დიდების შარავანდლით შემოსეს საბჭოთა სპორ-


ტის სახელი. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ისინი იშვიათად, ან სრულიად არ მიდიან სოფლებში და არ გამოდიან იქაური ახალგაზრდების წინაშე.

ჩვენ არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ მათ მიინცდამინც ჩვენს სოფელში დაამყარონ რეკორდები, ან აჩვენონ საერთაშორისო კლასის შედეგები. არა. მაგრამ ეს ცხადია, რომ თავიანთი საჩვენებელი გამოსვლებით ისინი ხელს შეუწყობენ ადგილებზე ფიზკულტურის მასობრიობის საქმეს, ჩვენ გავინტერესებს თუ როგორ ხტება სიმაღლეზე რობერტ შველყაძე, როგორ პიდაობენ ავთანდილ ქორიძე, ვახტანგ ბალაყაძე, ვლადიმერ რუბაშვილი და სხვანი. ამ სახელოვან სპორტსმენებთან სოფლის ახალგაზრდობის შეხვედრები და თანამეგობრობა კიდევ უფრო წინ წაიწევს ჩვენს საერთო მაჩვენებლებს. მობრკანლით ჩვენთან, გვაჩვენეთ თქვენი ოსტატობა. მოუთმენლად გვით ჩვენო სახელოვანო სპორტსმენებო!

ი. ჩირინაშვილი,

ლაგოდების რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენის სპორტის პეტრანები



კარს, რომელზეც წარწერაა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ქუთაისი. 1922 წელი. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ბენედიქტი ბეგუაძის სურათები არასოდეს ფერმკრთალდება... თითქმის გუშინ იყო. ამხანაგებთან ერთად ბაგრატი ციხის ნანგრევებს რომ ესტუმრებოდა, წიგნებში თვჩარგული გაცვეთილებს ამზადებდა და შემდეგ ბალახით მოფენილ ციხის ეზოში თანატოლებთან თავის ძალასა და მოხერხებას ცდიდა...

რამ დაეწყო თავისი საყვარელი მასწავლებელი მ. გორგაძე, რომელმაც პირველმა მოაღწინა მუხლი და სარბენი ბილიკის სტარტზე დააყენა. ეს მარტო სარბენი ბილიკის გაცნობა კი არ იყო, არამედ სპორტში მისი შესანიშნავი გზის დასაწყისი...

ქუთაისის არაოფიციალური ჩემპიონის — „მერცხლის“ ფეხბურთელებს, ალბათ, ახსოვთ თავიანთი ფეხმარდი მცველი გ. შვაცაბაია, რომელიც უნივერსალური მოთამაშედ ითვლებოდა...

1925 წელი. თბილისი. თვრამეტი წლის გ. შვაცაბაია უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდებოდა... იმავე წელს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა ახალი სპორტსმენის გამოჩენამ აალაპარაკა. სავესტით უცნობმა გ. შვაცაბაიამ ამიერკავკასიის სამხედრო ძალების პირველობაზე მძლეოსნობაში პირველი ადგილები დაიკავა სიმბოლურად და სიგრძეზე ხტომაში, აგრეთვე მოკლე მანძილებზე რბენაში... მომდევნო შეჯიბრებებში მისი ხალასი ნიჭი შეუწყლებლად ვი-

XXII

საქადრაკო ჩემპიონატი

მეთვრამეტე ტური

როცა გუფელდი და ხოლომოვი მიუჯდნენ მაგიდას, ალბათ ბევრმა იფიქრა, რომ ლიდერები მშვენიერი ყაიმით დაკმაყოფილებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. სიცილიური დაცვის აქტუალური ვარიანტში გამართულმა ბრძოლამ გაიტაცა მაყურებლები. თავიდან უტევედა ხოლომოვი, მაგრამ ბოლოს ინიციატივამ კიველი ოსტატის მხარეს გადაინაცვლა.

— ყაიმი, — მიმართა გროსმაისტერმა გუფელდს, როცა უქანასკნელმა დაიწყო მუდმივი ქიშის გამოცხადება, თანხმობის ნიშნად

თარღებოდა და იფურჩქნებოდა. მალე მისი სახელი მთელი საბჭოთა კავშირისათვის იყო ცნობილი.

ტრიუმფალური გამოდგა გ. შვაცაბაიას მონაწილეობა 1927 წელს ზაქოში გამართულ ამიერკავკასიის პირველობაზე მძლეოსნობაში. 20 წლის ჰაბუკი წარმატებით გამოვიდა სიმბოლურ ხტომაში — 175 სმ, რაც მხოლოდ 1 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა ვ. დიაჩკოვის საკავშირო რეკორდს. სიმბოლურ ხტომაში გარდა შვაცაბაიამ ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა 60, 100, 200 მეტრზე რბენაში, სიმბოლურად და ექვსჯიბში...

ერთი წლის შემდეგ გ. შვაცაბაია მოსკოვს მიემგზავრება, რათა მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადში, ამჯერად „უნივერსალურმა“ მძლეოსანმა მიაგნო თავის მოწოდებას და სიმბოლურ ხტომაში გამოვიდა...

სახტომ სექტორთან იმ დროისთვის სახელგანთქმული მძლეოსნები მოგროვდნენ. მონაწილეთა შორის იყვნენ გამოჩენილი სახელგანთქმული მხტომელებიც, რომლებშიც გამოირჩეოდა ევროპის უძლიერესი მძლეოსანი ნორვეგიელი ჰელგენსენი... როცა თამასამ 175 სმ მაღლწია, შეჯიბრებას მხოლოდ ქართველი და ნორვეგიელი მძლეოსანი შემორჩნენ... მსაჯები დიდი გულმოდგინებით აყენებენ თამასას იმ დროისათვის „კოსმიურ“ სიმბოლურ — 180 სმ, რაც მნიშვნელოვნად აღმატებოდა საკავშირო მიღწევას. გ. შვაცაბაიამ დიდი მარაგით აიღო სიმბოლური და დაამყარა საბჭოთა კავშირისა და სპარტაკიადის რეკორდი... მსაჯები და შეჯიბრების მონაწილეები ჰაერში აბურთავებენ პირველ ქართ-

გუფელდმა გაიღიმა. — მაგრამ თქვენ ხომ შეგეძლოთ პარტიის მოგება, — გაიკვირვა ხოლომოვი. — საქმარისი იყო ავეყვანათ პაიკი.

— ჰმ სწორედ ამის შემდეგ ვაგებდი. — უპასუხა გუფელდმა და სწრაფად აჩვენა ვარიანტი.

მაგრამ ორი სვლით აღრე მოგება მიიწვ იყო, — დაუმტა ბტენმა. — ლაზერით უნდა გეთამაშათ.

— ეს კი ვერ შევამჩნიე. — სინაულით თქვა გუფელდმა.

„ნამდვილი“ „ხელჩართული“ ბრძოლა გაიმართა შეინცვიტ-გურგენიძის პარტიში, რომელიც ძველინდური დაცვით დაიწყო. გურგენიძემ ღრმა სტრატეგიული გეგმის შედეგად ჯერ თამაშიდან გამოთიშა შეინცვიტის კუ, ხოლო შემდეგ ცენტრი გაარღვია. როცა ფიგურების უმრავლესობა გაიკვალა, ყველაფერი ცხადი შეიქნა, შეინცვიტი დანებდა.

ველ რეკორდსმენს მძლეოსნობაში, გაზეთი „ქრასნი სპორტი“ წერდა: „კავკასიის არწივმა დაიპყრო სიმბოლურ, რომელიც ყოველი მძლეოსანის ოცნებას წარმოადგენს...“ ბრწყინვალე წარმატებას მიღწია გ. შვაცაბაიამ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ შეჯიბრებაზე, სადაც საკავშირო რეკორდი გახარდა 183 სანტიმეტრამდე.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი გაგზავნეს მოსკოვის სოფლის მეურნეობის მელორიაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში ასპირანტად... შემდეგ დაძაბული მუშაობისა და სწავლის წლები... მაყურებელი აღფრთოვანებაში მოდიოდა, როცა აცხადებდნენ, რომ მოსკოვის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა დოცენტი გ. შვაცაბაია...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... წარსულში სახელგანთქმული ლეწლმოსილი სპორტსმენი ახლა ტრიბუნებიდან უტყერის სპორტულ სახანაობებს...

ხოლო კონვერტებს, რომლებიც იგი ათობით წერილებს ლეწლმოს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხიდან, აწერია: „ავადმიკოს გ. შვაცაბაიას, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სრულიად საქავშირო სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს...“

ფ. ზიზაროვილი

სურათზე: გ. შვაცაბაია 100 მეტრზე რბენის დროს. ზევით — გ. შვაცაბაია.

— სად ეჩქარება კალატონი შეილს? — კითხულობდნენ მაყურებლები, — ალბათ ცენტრირი აქვს. სხვა მხრივ ნამდვილად მწველი სახსნელია ნიჭიერი მოჭარბაქის ამგვარი თამაში შეინცვიტის სისწრაფეს. და ისიც უნდა შეიქნეს სიკეთე არაფისათვის მოორანია და კალატონის მსგავსი „გაუბა“ გასაჭირში. იგი უნარისოდ დარჩა და 42-ე სვლაზე გამარჯვება მიულოცა ოსტატს.

გაგუამ კარგად გაითამაშა დასაწყისი ბუსლაფეთან. მაშინ, როცა ბრძოლა „ღვივებოდა“, გაგუამ მხედრით მცდარი ნახტომი გააკეთა, რასაც ბევრი უსიამოვნება მოჰყვა. ბოლოს გაგუა გამოეთხოვა მხედარს და მასთან პარტიას.

ბერაძე-ბრეიტმანის პარტიის ფინალში, რომელიც მამფრ ციტრატში მიმდინარეობდა, ფიგურები „დაფრინავდნენ“. ბრეიტმანმა მოახერხა მეორე ლაზერის გაცოცხლება და საშამათო მუქარების შექმნა. ბერაძე დანებდა. ეგიაშვილ-შიშოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

გადაღებული პარტიების დამთავრება

თამაშის განუახლებლად გამრეკელი დანებდა ბლაგიძეს, ხოლო მიქაელისი — ივოზნიკოვს. ბლაგიძეს ეგიაშვილთან ჩაეწერა ლაზერის შეცდომითი სვლა, რასაც მისი დაკარგვა და პაიკის წაგება მოჰყვა. გიორგაძემ მოუგო ლომიას და ყაიმზე შეთანხმდა ბერაძესთან, ყაიმით აღინაშნა ბერაძე-ჩიქოვანისა და გურგენიძე-გაგუას პარტიები.

დღეს, 16 მარტს შედგება უქანასკნელი, XIX ტური.

პირველი სერია

14 მარტს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის სააქტო დარბაზში სახეიმოდ გაიხსნა ჰადრაკო მსოფლიო პირველობის მატჩ-რევანში მ. ტალსა და მ. ბოტვინიკს შორის, სახეიმოდ ცერემონიად დაესწრნენ სპორტული საზოგადოებრიობა, საბჭოთა და უცხოური გაზეთებისა და სატელეგრაფო სააგენტოების კორესპონდენტები, გროსმაისტერები და ოსტატები. დამსწრეთა შორისაა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მ. ეივე, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა „საუქუნის“ მატჩზე დასასწრებად.

საზეიმო სხდომა გახსნა მატჩ-რევანის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. პოსტინკოვმა, მისალმებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო ოსტატი ვ. ალატორციევი, მატჩ-რევანის მთავარმა მსაჯმ გროსმაისტერმა გ. შტალბერგმა განაცხადა:

— სიამოვნებით „მონაწილეობ“ ჩვენი დროის საამაყო მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში. ის, რომ ისინი საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ორი თობის წარმომადგენლები არიან, განაპირობებს მატჩის მსვლელობას „უმალეს დონეზე“.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გროსმაისტერი ვ. რაგოზინი ფიდეის პრეზიდენტის ფ. როგარდის დავალებით გახსნილად აცხადებს მატჩ-რევანს.

გუშინ, 15 მარტს მოსკოვის ესტრადის თეატრში შედგა მ. ტალსა და ბოტვინიკის მატჩის პირველი პარტია. თერთვით თამაშობდა ბოტვინიკი.

პარტია, სადაც ექს-ჩემპიონს მცირე უპირატესობა აქვს, გადაიდო.


პირველი რეკორდი მას კავთუნის

თებერვლის მზიანი დღეა. ჯავახიშვილის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში ბავშვებს მოუყრიათ თავისინი რიგრიგობით უხსლოვდებიან ცარციტ გავლებულ ხაზს, ფეხის წვერებს საგულდაგულოდ უსწორებენ მას და შემდეგ ერთბაშად ხტებიან. ამ თავისებურ „საბარეზობას“ ყურადღებით უთვალთვალეს ჰარმაგი მამაკაცი და სახეზე ღიმილი ეხატება. იგი აუჩქარებლად გახარბობს გზას და აღებს შენობის

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი. ითამაშეს დიმიტროვის (ბულგარეთი) „მინიორის“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებმა. პირველი პარტია, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ ანგარიშით 15:10. მეორე პარტიაში ანგარიში ხშირად საყაიმო იყო — 4:4, 7:7, 10:10. შემდეგ წინ გავიდნენ საბჭოთა ფრენბურთელები, რომლებმაც მოიგეს პარტია — 15:10. მესამე პარტიაც ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობით წარამართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 15:9.

საპასუხო მატჩს მოსკოვის „დინამო“ ჩაატარებს ბულგარეთში მარტის შუა რიცხვებში.

სურათზე: მოსკოვის „დინამო“ და დიმიტროვის „მინიორის“ გუნდების შეხვედრის მომენტი. ფოტო — სპორტის ოსტატ ე. დავთიანიხა



გაზრდა. 14 მარტი, კურორტის სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გუნდებს შორის. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. გავრულ მყურებელთა გარდა მის საყურებლად

დინამოელთა საკონტროლო მატჩი

ჩამოვიდნენ „ა“ და „ბ“ კლასების სხვა გუნდებიც. რომლებიც გაგრაში ან მის მახლობლად იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებებზე. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახსნა

კოროლენკოვმა, მაგრამ თბილისელმა მარცხენა გარემარბმა ვეკუამ გაქვითა გოლი. მეორე ტაიმში შელაშქვლამა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა და მატჩი

დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. გუნდები ამ დღეს თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვი — ბელიაევი; კესარევი, რიბა-

ოვი, გლოტოვი; კოროლენკოვი, ცარევი; ურინი, ჩისლეცკო, ჯერდევი; შაპოვლოვი, ფალკევი. თბილისი — კოტრიკაძე; ბ. სიკინევა (ლურცინოვა); თორაძე, სოჭოლავა; გ. სოჭოლავა, ხუნდაძე; მელაშვილი, ბატქია, კალაჩევი; იამაჩი, შვეპუა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტს გ. მეგრელს აინტერესებს შემდეგი საკითხები: ვისთან და როდის ითამაშეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი პირველი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასში, რა შემადგენლობით და რა ანგარიშით დამთავრდა შეხვედრა.

„ა“ კლასში თავისი პირველი მატჩი თბილისის „დინამომ“ ჩაატარა 1936 წლის 7 სექტემბერს. მისი მოწინააღმდეგე იყო კიევის „დინამო“. მატჩი შედგა თბილისში. თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ა. ლორთქიფანიძე, შ. შაველიძე, ბ. ბერძენიშვილი, ნ. ანიკინი, ვ. ჯორბენაძე, გ. გავუა, ი. პანიანი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი და ნ. სომოვი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

გორის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლე ა. ოთაშვილს აინტერესებს: რომელი წლიდან თამაშობდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა რიგებში სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე? ბ. პაიჭაძე თბილისის „დინამოში“ თამაშობდა 1936 წლის გაზაფხულს.

ბორჯომელი სპორტის მოყვარული ა. გვარამაძე გვკითხება: 1. რატომ არ არის ხელმოწერა გ. ზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკვირაო დამატება „ფუტბოლზე“ გავრცელებულ ერთად, ან ცალკე? ან რატომ არ იშოვნება იგი კოსკებში, როცა „სოვეტსკი სპორტისა“ და „ფუტბოლის“ ტირაჟი ერთდროულად? როგორ ვიშოვოთ „ფუტბოლი“?

2. ბორჯომელებს სურთ დაესწრონ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მატჩებს, მაგრამ ვერ შეუძლებენ ცალკეულ შეხვედრებზე დასასწრებ ბილეთებს ან სერვისურ აბონემენტებს. ვის მივმართოთ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად? 3. რას გვეტყვიან ხაბტოთა კავშირის ჩემპიონ კიეველ მოჭიდავე გ. შვი ერძის შესახებ?

1. „სოვეტსკი სპორტის“ საკვირაო გამოშვება „ფუტბოლზე“ ხელმოწერა არ არის ისევე, როგორც არ არის „იზვესტიის“ საკვირაო დამატება „ნედელიაზე“, რაც შეეხება ტირაჟს, „ფუტბოლის“ ტირაჟი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე „სოვეტსკი სპორტისა“. თუ რატომ არ არის ხელმოწერა საკვირაო დამატებებზე, ვერაფერს გეტყვითა ეს „სოიუზპეჩატის“ საკავშირო ხელმძღვანელობის საქმეა.

2. როგორც ბილეთების, ისე სერვისური აბონემენტების საკითხზე უნდა მიმართოთ თბილისის „ბურვესტნიკის“ სტადიონის დირექციას, სადაც წელს ჩატარდება საკავშირო და საერთაშორისო მატჩები. 3. სსრ კავშირის ჩემპიონი ჭიდაობაში სპორტის ოსტატი გარსევან ნებიერიძე თბილისელია. იგი სწავლობდა გორში, ხოლო შემდეგ გადავიდა კიევის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

რედაქციაში შემოვიდა წერილი საჩხერისა და, რომლის ავტორებს ნ. მუმლაძეს, ზ. ხვედელიძესა და ს. ხოტოველს აინტერესებთ მოსკოვის

„ტორპედოს“ მოთამაშის სლავა მეტრეველის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ფეხბურთელი ს. მეტრეველი ბავშვობიდან ცხოვრობდა სოჭში და აქვე დაიწყო ფეხბურთის თამაში, მოსკოვის „ტორპედო“, როგორც წესი, წინასასწავლო შეხვედრებს სოჭში ატარებს ხოლმე და სწორედ აქ იქნა „ალმონილი“ ს. მეტრეველი.

თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის III კურსის სტუდენტები ი. ხურიცია, ჯ. კურცხალია, გ. აფრიაშვილი და ა. პაპუაშვილი გვეკითხებიან: რომელ საკლუბო გუნდთან აქვს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს მოგებული მატჩი ყველაზე დიდი ანგარიშით და რომელთან — წაგებული?

თბილისის დინამოელებმა 1948 წელს თავიანთ მინდორზე დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი“ ანგარიშით 9:2. ზუსტად ასეთივე ანგარიშით აიღეს ლოკომოტიველებმა რევენში მოსკოვში 1956 წელს.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ზ. ბაღვაშილი კითხულობს: რატომ არ არის შემოღებული გროსმაისტერის წოდება მოქალაქე ქალთათვის.

მოქალაქე ქალთათვის გროსმაისტერის წოდების მინიჭების საკითხი არც ერთხელ არ დასმულა, ვინაიდან ქალების თამაშის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ოსტატ ვაჟების კლასს. სწორედ ამიტომ, რომ საერთაშორისო საქალაქო ფედერაციამ შემოიღო წესად მსოფლიო ჩემპიონს ქალთა შორის მიანიჭოს საერთაშორისო ოსტატის წოდება თანაბრად ოსტატ ვაჟებისა. ყველა სხვა გამოჩენილ მოქალაქე ქალს საბჭოთა კავშირის საქალაქო ფედერაციის წარდგენით სპორტკავშირი ანიჭებს სპორტის ოსტატის, ხოლო საერთაშორისო საქალაქო ფედერაცია — საერთაშორისო ოსტატის წოდებას ქალთა შორის. საბჭოთა კავშირში მსოფლიო ჩემპიონს ქალთა შორის დამატებით ენიჭება სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ასეთები ჩვენში არიან ლ. რუდენკო, ე. ბიკივა და ო. რუბცოვა.

გაზეთ „ლელოს“ მკითხველს დ. ჭავჭავაძეს აინტერესებს: სად და როდის გაიმართა პირველი ჩემპიონატი სამბოში და ვინ არიან ქართველ მოჭიდავეთაგან ჩემპიონები ამ სახეობაში, რატომ არ არის შეტანილი სამბო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და რატომ არ ტარდება მსოფლიო პირველობა მასში.

სამბო, როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში, 1938 წელს. მასში გაერთიანებულ იქნა ჭიდაობის ეროვნულ სახეობათა სპორტკლუბები. სამბო ნიშნავს თავდაცვას იარაღის გარეშე და მას დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ჭიდაობის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაშია განვითარებული მხოლოდ, იგი არ არის შეტანილი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ისე კი სამბოს ბევრი ნათესავი ჰყავს სხვადასხვა ეროვნებათა ჭიდაობის ფოკლორში.



კერძოდ, მასთან ძალზე ახლოს დგას იაპონური ძიუ-დო. პირველი ჩემპიონატი სამბოში გაიმართა 1939 წელს ლუნიჩგრაღში. ჩემპიონი ქვემოთე წონაში მაშინ გახდა კ. კობერიძე, 1940 წელს სამბოს ჩემპიონები იყვნენ: შ. ნოზაძე და ა. მეკოკიშვილი, 1947 წელს — შ. დაუშვილი და ა. მეკოკიშვილი, 1948 წელს — ქ. ნინიაშვილი, გ. როსტიაშვილი, შ. დაუშვილი და ა. მეკოკიშვილი, 1949 წელს — ქ. ნინიაშვილი, ე. ქარქუსაშვილი, შ. დაუშვილი და ა. მეკოკიშვილი, 1950 წელს — ე. ქარქუსაშვილი, გ. როსტიაშვილი და ა. მეკოკიშვილი, 1951 წელს — შ. ნოზაძე, ე. ქარქუსაშვილი, გ. როსტიაშვილი და ა. მეკოკიშვილი, 1952 წელს — ე. ბაღვაძე და ა. მეკოკიშვილი, 1954 წელს — ე. ქარქუსაშვილი და ო. შინჯიაშვილი, 1955 წელს — ლ. კაციაშვილი, ო. გრატიაშვილი, ო. შინჯიაშვილი, 1956 წელს — თ. ელერდაშვილი, ს. გაბარაევი, 1958 წელს — თ. ელერდაშვილი, 1959 წელს — ლ. კაციაშვილი, 1960 წელს — ზ. მუხიაშვილი.


თბილისელი ფ. მამულია გვეკითხება: რას წარმოადგენს საქალაქო ამოცანა შემობრუნებითი და კომპარტიული შამათის თემაზე. საქალაქო ამოცანები შემობრუნებით და კომპარტიული შამათით ე. წ. ზღაპრული ჭადრაგის სახეობებია, რომლებიც ჩვეულებრივ ამოცანებისაგან განსხვავდებიან ამოხსნის პირობით, შემობრუნებით შამათის ამოცანებში თვითრები იწყებენ და აიძულებენ შავებს გამოუცხადონ მათ (თვითრებს) შამათი გარკვეული სვლების რაოდენობაში. ასეთი ამოცანები შემოიღეს XVIII საუკუნეში. ა. პეტროვისა და კ. იანიშის შრომების მეშვეობით შემობრუნე-

ბითი შამათის ამოცანები გავრცელდა რუსეთშიც.

ჩვენს დროში ამ შამათმა ამოცანებმა დაკარგეს მიზიდველობა. კომპარტიული შამათის ამოცანებში შავები არ ებრძვიან თვითრებს ჩანაფიქრს, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ ამოცანებში. პირიქით ხელს უწყობენ მათ გამოუცხადონ შავ მეფეს შამათი გარკვეული სვლების რაოდენობაში. ასეთ ამოცანებში, როგორც წესი, თამაშს იწყებენ შავები. პირველად ამოცანები კომპარტიულ შამათზე ააგეს გერმანელმა მ. ლანგემ და ამერიკელმა ს. ლილდმა გასულ საუკუნეში.

მოგვიყვას საბჭოთა კომპოზიტორის ამოცანა კომპარტიული შამათის თემაზე, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა XIV საქალაქო ოლიმპიადისთან დაკავშირებულ ამოცანებისა და ეტრუდების შედგენის საერთაშორისო კონკურსზე.

3. გაბაღბტი



კომპარტიული შამათი ორ სვლაში. ამოხსნა 1. h1კ (მოგაგონებთ თამაშს შავები იწყებენ) 1... კხ2 2. მფე2 ლე2X თუ h2 ბაიკს გადავადგილებთ ცხ-ზე, მაშინ 1. ც2 კვ3 2. ლე4 ლf3X. ბაიკი ძნ-ზე რომ იყოს, მაშინ 1. მფე4 კd4 2. ლძ3 ლფ4X.



სპორტსმენი: წველი ფიგურულ სირიალიში. რედაქტორი ი. უგულავა.

18-19 მარტი
მ. ი. დანიის სახელობის სპორტკლუბი
საერთაშორისო უახვედრა
მაგილის ჩოგბურთში
რუშინეთი-საქართველო
დასაწყისი 12 და 17 საათზე.
18
მარტს
ალ. ჯვარამიის სახელობის
ალკარ კლუბში ფეხბურთის
ქართვალთა ალკონიზმის ფე-
დერაციის სახეობა
3 დენევი
დასაწყისი 14 საათზე.